19/08/2025

MES 8 25 0000999298

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:26 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - **საბჭოს მდივანი;**
4. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

7. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
11. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ედვინი სირბილაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ვლადიმერ ღლონტი -** პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
2. **ლელა თურმანიძე -** პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი
3. **ნანი მამულაძე -** ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **ნატო შეროზია -** ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი განათლება“ ხელმძღვანელი;
5. **ნანა მაკარაძე -** პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,განათლების ადმინისტრირება“ ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

6. **ქეთევან გოლეთიანი** - ასისტენტ პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,განათლების ადმინისტრირება“ ხელმძღვანელი;
7. **მადონა მიქელაძე -** ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,პროფესიული და უწყვეტი განათლება“ ხელმძღვანელი;
8. **მარინე გურგენიძე -** ასოცირებული პროფესორი, სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. **ლელა თავდგირიძე -** პროფესორი, “მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1“, “მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2“ ხელმძღვანელი;
10. **ქეთევან შოთაძე -** ასოცირებული პროფესორი, “მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1“ ხელმძღვანელი;
11. **მირანდა ხაჯიშვილი -** ასისტენტ პროფესორი, “მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2“ ხელმძღვანელი.

სსიპ- სამცხე-ჯავახეთისსახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **მაკა ბერიძე** - უნივერსიტეტის რექტორი;
2. **ნინო მილაშვილი** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ირმა ქურდაძე** - განათლების კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელი;
4. **მაია ქუქჩიშვილი** - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

1. **დიანა მჭედლიშვილი** - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
2. **ალუდა გოგლიჩიძე** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი, განათლების სკოლის დეკანი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
3. **სალომე ჩიტორელიძე** - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, კავკასიის განათლების სკოლის აკადემიური პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი;
4. **მაია ზიბზიბაძე** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
5. **პაატა პაპავა** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი;
6. **ელენე ბეთლემიშვილი** - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი;
7. **მარი ანახუნძაყიშვილი** - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;

8. **ნიკოლოზ სილაგაძე** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
9. **ნანა მონიავა** - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი;
10. **ევგენი გუგულაშვილი** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
11. **ირინე ტაბუციძე** - ასოცირებული პროფესორი;
12. **ანა კინწურაშვილი** - მოწვეული ლექტორი;
13. **მარიამ კუტუბიძე** - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი;
14. **შალვა ტაბატაძე** - პროფესორი, განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
15. **ნინო ძოწენიძე** - აფილირებული ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მეთიუ ჯონ კიჩინგი (Matthew John Kitching) (I);
დიანა მჭედლიშვილი (I);
ეკატერინე ფიფია (I);
ნინო პოპიაშვილი (I);
ლანა ყურაშვილი (I);
სოფიო უგრეხელიძე (I) ;
ანა მიხელიძე (I);
მაია ჩქოტუა (II);
ნინო მოდებაძე (II);
ქრისტინე ჩიხლაძე (II);
გიორგი მერაბიშვილი (II)
მარინეგოგნელაშვილი (III);
სანდროტაბატაძე (III);
თინათინგაბრიჩიძე (III);
ნათიაგეგელაშვილი(III).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ**.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო,

სპეციალური მასწავლებელის მომზადების, მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) და მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა, ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო საფეხური))" და "მასწავლებლის მომზადების (მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული (I-VI); ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (I-VI); ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა (I-VI); დაწყებითი საფეხურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (I-IV); კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა; ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა; უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა;)" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და "განათლების პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო, სპეციალური მასწავლებელის მომზადების, მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) და მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა, ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო ან/და

საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო საფეხური))" და "მასწავლებლის მომზადების (მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული (I-VI); ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (I-VI); ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა (I-VI); დაწყებითი საფეხურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (I-IV); კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა; ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა; უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა;)" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და "განათლების პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო, სპეციალური მასწავლებელის მომზადების, მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) და მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სკოლამდელი განათლება
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, I-IV კლასების მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით; 2. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების მათემატიკის, I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურისა და

ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით; 3. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ბუნებისმეტყველების, I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურისა და მათემატიკის სწავლების უფლებით)
სასწავლო მოდულები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, I-IV კლასების მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების მათემატიკის, I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურისა და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ბუნებისმეტყველების, I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურისა და მათემატიკის სწავლების უფლებით

დეტალური სფეროს კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 300

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი: 0188 ინტერდისციპლინური - მოიცავს განათლებას
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 120

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: პროფესიული და უწყვეტი განათლება
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი: 0111 განათლების მეცნიერება
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 120

პროგრამა №5
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სპეციალური მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 60

პროგრამა №6
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1
სასწავლო მოდულები:

- **სახელმწიფო ენა:** ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხურები);

- **უცხო ენები**: ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებ ი);
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** ისტორია (დაწყებითი და საშუალო საფეხურები); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხურები).

სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 60

პროგრამა №7
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2
სასწავლო მოდულები:

- **მათემატიკა** (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **კომპიუტერული ტექნოლოგიები:** კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- **სპორტი:** სპორტი

სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ნარგულ ასანიძემ, ვლადიმერ ადეიშვილმა და თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მეთიუ ჯონ კიჩინგიმ (Matthew John Kitching), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, აღნიშნა, რომ მხოლოდ პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. „პროფესიული და უწყვეტი განათლების“ სამაგისტრო პროგრამა ხუთივე სტანდარტში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პროგრამების სტრუქტურულ ასპექტებს — სილაბუსის შინაარსობრივ დახვეწას, სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰქონდათ საკუთარი პოზიცია.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ლელა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო შვიდი პროგრამა, რომელთაგან ხუთი სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული და შესაბამისად, ინსტიტუცია დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საკითხს. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კლასტერული იყო, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული ის სილაბუსი, რომელშიც ექსპერტთა გუნდმა შინაარსობრივი სისუსტე დაინახა. უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამების მომზადებისა და განხორციელების შეფასების წესი, რომელიც შეესაბამებოდა აკრედიტაციის სტანდარტებს. ეს საკითხი აქამდე სადავო არ ყოფილა, ამიტომ ადმინისტრაცია ითხოვდა კონკრეტული სილაბუსის მითითებას. ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო უნივერსიტეტის გარკვეული ფორმა. შვიდი პროგრამიდან ხუთი სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული, შესაბამისად, სტუდენტთა გადინება არსებობდა, მაგრამ თვითანაზღაურებისთვის საჭირო რაოდენობა მაინც რჩებოდა.

„სკოლანდელი განათლების“ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა გარკვეულ ტექნიკურ უზუსტობებს დამხმარე ლიტერატურაში. ჯგუფმა გადახედა სილაბუსებს და გარკვეული შეცდომები გამოასწორა, თუმცა კიდევ იგეგმებოდა გადახედვა და გაუმჯობესება. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით ხაზი გაუსვა, რომ სასწავლო კურსი „ზეპირი და წერითი კომუნიკაციები“ პირველივე სემესტრიდან ისწავლებოდა, ხოლო შემდეგ — „პრაქტიკის კვლევა“ („პრაქტიკა 1“, „პრაქტიკა 2“, „პრაქტიკა 3“). ისინი მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს, პროექტებს, ანგარიშების წარმოდგენას, ანუ წერით დავალებებს, და საბოლოოდ, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი ამტკიცებდა ამ ცოდნას. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევდა, რომ ამ რეკომენდაციის საჭიროება არ არსებობდა. რაც შეეხება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ 60 კრედიტიან პროგრამას, დაწესებულება იღებდა 80 სტუდენტს. ეს პროგრამა სრულად სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული. პირველი რეკომენდაცია სწავლის შედეგებს ეხებოდა, თუმცა აღწერით ნაწილში მითითებული იყო, რომ სრულ შესაბამისობაში იყო, რაც შესაძლოა ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ ერასმუსის პროექტის ფარგლებში, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, შესაძლებელი იყო მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაში სპეციალური მასწავლებლის მოდულის ჩაშენება. ეს მოდული მომზადებული იყო ცალკეული პროგრამის ფარგლებში პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ. სილაბუსის ყველა განმახორციელებელი ადამიანი იყო დაწესებულების თანამშრომელი ან მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებული პირი. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობის ვალდებულებას. ინსტიტუციას ჰქონდა დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომზე გასვლამდე სტუდენტს უნდა ჰქონოდა მონაწილეობა მიღებული კონფერენციაში ან გამოქვეყნებული პუბლიკაცია იმ მიმართულებით, რომელშიც აკეთებდა კვლევას, და ეს მითითებული იყო სილაბუსში. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის პირველი ხუთი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ ცოდნის გაზიარებას და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო გეგმის შემუშავების კომპეტენციების განვითარებას. ამასთან

დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფი კიდევ ერთხელ გადახედავდა პროგრამის სილაბუსებს გაძლიერების მიზნით. მომდევნო ორი რეკომენდაცია ეხებოდა განათლების სამართლებრივი საფუძვლების სილაბუსს. ერთი მათგანი ეხებოდა ლიტერატურის უზუსტობას, მეორე — გარკვეული საკითხების გადალაგებასა და გაძლიერებას, რაც ადმინისტრაციის მიერ აუცილებლად განხორციელდებოდა.
ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ბიუჯეტში მოგებასთან დაკავშირებულ უზუსტობას. გადახედვის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი პროგრამის შემოსავალი იყო 900 000 ლარი, ხოლო ორწლიანის 90 000 ლარი. ასევე, არსებობდა ორ ნაწილად გაყოფილი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, რომლის მიმართაც გაიცა რეკომენდაცია ბავშვის უფლებებისა და კვლევის მეთოდების ჩართვასთან დაკავშირებით. დაწესებულებას კვლევის მეთოდები ცალკე სილაბუსად არ ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ამ პროგრამაზე სწავლობდნენ ან ბაკალავრის ხარისხის უკვე მქონე სტუდენტები, რომლებსაც შესრულებული ჰქონდათ საბაკალავრო ნაშრომი, ან საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც „აკადემიურ წერას“ სწავლობდნენ. მიუხედავად ამისა, კვლევის მეთოდების გაძლიერების მიზნით, ინსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა პრაქტიკისა და დარგობრივი მეთოდიკის სილაბუსებში შესაბამისი კომპეტენციების ჩართვა შესაბამისი დავალებებით. ორ სემესტრიან კურსებთან დაკავშირებით იყო მითითება, რომ სწავლის შედეგები ემთხვეოდა ერთმანეთს. დაწესებულებამ დეტალურად გადახედა სილაბუსებს და აღინიშნა, რომ მხოლოდ ორ მიმართულებაში — „ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 1“-ში და „ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 2“-ში, ასევე „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 1“-სა და „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა 2“-ში — ემთხვეოდა შედეგები. თუმცა „ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 1“-ში დაფიქსირებული იყო, რომ ეს კურსი მიმართული იყო ზოგადი განათლების საკითხების სწავლებისკენ, ხოლო „მეთოდიკა 2“ — საშუალო საფეხურის სწავლებისკენ. მეორე შემთხვევაში კი უნივერსიტეტმა აღიარა თავისი შეცდომა და გაითვალისწინა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, განათლების ადმინისტრირების პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია ხარისხის უზრუნველყოფის დამატების შესახებ. მას აინტერესებდა, რატომ არ იყო საკმარისი ის ინფორმაცია, რაც მოცემული იყო პროგრამის სილაბუსებში.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ განმარტა, რომ შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და გადაიხედა ყველა სილაბუსი, სადაც გაწერილი იყო ხარისხის საკითხები. თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან შეუძლებელი იყო, ერთი კვირის განმავლობაში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხები სრულად დაფარულიყო სხვა თემებთან ერთად. ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია ხარისხის საკითხების გაღრმავების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. პირველი შეკითხვა ეხებოდა მასწავლებლის მომზადების პროგრამას, რომლის მიმართაც გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვასთან დაკავშირებით, რათა ისინი სრულად შესაბამისობაში ყოფილიყო დარგობრივ მახასიათებელთან. მას აინტერესებდა, რაში მდგომარეობდა პრობლემა, რადგან ეს დასკვნაში მკაფიოდ არ იკვეთებოდა.
მეორე შეკითხვა ეხებოდა „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მომზადების“ ინტეგრირებულ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამას, რომლის მიმართაც გაიცა რეკომენდაცია, რომ სტუდენტებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ მონაწილეობა მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, რადგან ეს წარმოადგენდა კვლევით ვალდებულებას. შესაბამისად, ირინა ლობჟანიძეს აინტერესებდა, რამდენად რეალური იყო ეს რეკომენდაცია და იყო თუ არა ის უფრო რჩევითი ხასიათისაა.
ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტისას ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ კონფერენციებში მონაწილეობა ინტეგრირებულ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე

სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენდა. შემდგომ ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, სადაც ეს რეგულაციებში იქნებოდა დაფიქსირებული, თუმცა დაწესებულებას მსგავსი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, რის გამოც გაიცა აღნიშნული რეკომენდაციაც.
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ლელა თურმანიძემ, აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი ასახული იყო სასწავლო პროცესის განხორციელების წესში. გარდა ამისა, მითითებული იყო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსშიც.
ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ 2002 წლიდან სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად ითვლებოდა კონფერენციებში მონაწილეობა და ეს ასახული იყო დოკუმენტებში.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ჩაშენებული პრაქტიკა ან რაიმე სხვა სწავლებისა თუ შეფასების მეთოდები, ვინაიდან ისეთ საფუძვლების კურსები მაგალითად, როგორებიცაა დიდაქტიკის საფუძვლები, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები და ა.შ. სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, მონაწილეობს სწავლის შედეგების განმტკიცებაში. ასევე ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები და სტრუქტურა'' სწავლის შედეგების რუკის მიხედვით იძლეოდა საშუალებას გასულიყო მეორე შედეგეზე, რომელიც ეხებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებას, შეფასების რუბრიკების შემუშავებას. მას აინტერსებდა, რამდენად გადიოდა ეს კურსი ამ შედეგზე.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, კომენტარს ვერ გააკეთება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩაშენებული პრაქტიკა არ ჰქონდათ, თუმცა იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც იძლეოდა განმტკიცების საშუალებას.
ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ 1.2 ქვესტანდარტში მოცემული იყო ის მიზეზი, რის გამოც გაიცა რეკომენდაცია მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით სწავლის შედეგების გადახედვაზე, კერძოდ, კვლევის უნარების განვითარება სტუდენტისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა „კვლევის მეთოდების“ კურსი არჩევითად იყო შეთავაზებული. ამასთან, მეორე ნაწილი ეხებოდა ბავშვთა უფლებების საკითხს, რომელიც დარგობრივი დოკუმენტით იყო გათვალისწინებული, თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსიც არჩევითი იყო. შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლებოდა პროგრამის სასწავლო კურსების შემადგენელ ნაწილად და ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია.
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანმა, ლელა თურმანიძემ აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლება, დიდაქტიკა და დარგობრივი მეთოდიკები, ასევე სასწავლო და პროფესიული გარემო გარკვეულწილად ფარავდა ბავშვთა უფლებების საკითხებს, თუმცა დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტებს იმ თვალსაზრისით, რომ კონვენციის საკითხი სასწავლო კურსებში ჩასამატებელი იყო.
განათლების ადმინისტრირების პროგრამაში პრაქტიკასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა, რომ სილაბუსში წარმოდგენილი 30 საათი მხოლოდ პრაქტიკისთვის არ იყო განკუთვნილი. სტუდენტი პრაქტიკის საათებს ძირითადად ატარებდა პრაქტიკის ბაზაზე, ხოლო ეს ჩანაწერი საჭირო გახდა საბუღალტრო ანგარიშგებისთვის.
ექსპერტმა სოფიო უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ დავალებები ისე იყო მოცემული სილაბუსში, რომ ცალკეული პრაქტიკის ნაწილი არ იკვეთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებზე სტუდენტებისა და ლექტორების მხრიდან ეს დადასტურდა, სილაბუსში ეს არ იკითხებოდა და ექსპერტებს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ.
უსდ-ს მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი მამულაძემ, დიდაქტიკასა და პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი მოიცავდა ისეთ აქტივობას როგორიც იყო სადამრიგებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა. თუ სტუდენტი ამ დავალებას ასრულებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის სწავლების შედეგის განმტკიცებას ემსახურებოდა. მისი თქმით, სილაბუსში

გაწერილი იყო 60 საკონტაქტო საათი, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ სტუდენტი მხოლოდ ამ პერიოდში ატარებდა პრაქტიკას. ეს რაოდენობა განსაზღვრული იყო ხელმძღვანელის მიერ საკონტაქტო საათების ანაზღაურების კონტროლისათვის.
ლელა თურმანიძემ ასევე აღნიშნა, რომ პედაგოგიურ პრაქტიკებში დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა სკოლის წარმომადგენლებისა და კოორდინატორებისთვის ანაზღაურებაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეციალური მასწავლებელის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეციალური მასწავლებელის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო განათლება) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა, ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი ან/და საბაზო საფეხური))" და "მასწავლებლის მომზადების (მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული (I-VI); ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (I-VI); ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა (I-VI); დაწყებითი საფეხურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (I-IV); კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა; ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა; უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა;)" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის I-IV - ინტეგრირებული მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა-ლიტერატურა; I-VI საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა)
დეტალური სფეროს კოდი: მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით, 0114
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 300

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1
სასწავლო მოდულები:

- **სახელმწიფო ენა:** ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური);
- **უცხო ენები:** ინგლისური ენა (დაწყებითი და საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი და საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი და საბაზო და საშუალო საფეხური).

სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 60

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2
სწავლების ენა: ქართული
სასწავლო მოდულები:

- სახელმწიფო ენა: ქართული ენისა და ლიტერატურა (I-VI); ქართულის, როგორც მეორე ენა (I_XII);
- მათემატიკა (I-VI);
- ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა (I - VI);
- დაწყებითი საფეხურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (I-IV): ქართული ენისა და ლიტერატურა (I-IV), მათემატიკა (I-IV), ბუნებისმეტყველება (I-IV).
- ტექნოლოგიები: კომპიუტერული ტექნოლოგიები
- უცხოური ენები: ინგლისური, გერმანული, რუსული

სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ანუ ანა ჯოსანი (Anu Anna Jossan), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ედვინ სირბილაძემ გააცნო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც კლასტერული სახის იყო და მეორდებოდა რამდენიმე პროგრამაში, წარმოადგენდა ავტორიზაციის მოთხოვნების გამჭოლ მოთხოვნას. მისი თქმით, დაწესებულება იმყოფებოდა ავტორიზაციის პროცესში და, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უკვე გაზიარებული და შესრულებული იყო. ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა საბუნებისმეტყველო და ძირითად მეცნიერებებში ძირითადი ინფრასტრუქტურის აღჭურვას. ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული ლექციები ტარდებოდა უშუალოდ სკოლებში, რომელსაც დაწესებულებაში მომუშავე ასისტენტ-პროფესორი ატარებდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა იმას, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნდა ლაბორატორია. ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები დაწესებულებაში ნამდვილად არსებობს. მემორანდუმებზე სტუდენტთა მიღების რაოდენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ასზე მეტი მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული და სკოლა ფიზიკურად არ აფორმებდა მემორანდუმს, თუ სტუდენტთა რაოდენობა დაზუსტებული არ იქნებოდა. ხაზი გაუსვა განათლების მიმართულების პროგრამების მნიშვნელობას უნივერსიტეტისთვის. ისინი უზრუნველყოფდნენ ბილინგვური განათლების მოდულების არსებობას დაწესებულებაში, რაც პირდაპირ აკმაყოფილებდა რეგიონის საჭიროებას და გამოარჩევდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისგან. ეს იყო შრომის ბაზარზე გამოცდილი პროფესორების ჩართულობით შექმნილი პროგრამები. ასევე მნიშვნელოვანი იყო ინკლუზიურ განათლებაზე აქცენტირება, რადგან დაწესებულებაში არსებობდა ცენტრი, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო ინკლუზიური განათლება. ინსტიტუციამ წარმოადგინა მესამე პროგრამაც, რომელიც მიუთითებდა განათლების მიმართულების პროგრესზე. დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის მიჰყვებოდა დარგობრივ მახასიათებელს. შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტი იყო 60 კრედიტი და ასე იყო პროგრამაშიც. ცალკე იყო გამოტანილი კვლევითი კომპონენტი — სამაგისტრო ნაშრომი, რადგან ეს წარმოადგენდა სამაგისტრო საფეხურს. ამიტომ დაწესებულება სტრუქტურულ და შინაარსობრივ საკითხში არ იზიარებდა რეკომენდაციას. რაც შეეხება კლასტერის მეორე რეკომენდაციას, აღნიშნა, რომ პრაქტიკა იწყებოდა პირველივე კურსიდან და ყველა ეტაპზე ხორციელდებოდა USAID-ის პროექტის ფარგლებში. ზოგადი განათლების საფუძვლებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ითქვა, რომ ეს კურსი მომზადებული იყო UNSD-ის პროექტის ფარგლებში და მოხდა პერსონალის გადამზადებაც. საბჭომ შეისწავლა გარე შეფასებებიც, სადაც არცერთი რეკომენდაცია არ იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.4 კომპოენენტთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, იყო თუ არა მოქმედი, აკრედიტებული პროგრამები ვიზიტის მომენტში განთავსებული ვებგვერდზე.
ექსპერტმა მაია ჩქოტუამ აღნიშნა, რომ პროგრამები ვებგვერდზე განთავსებული იყო არასრულად — მაგალითად, არ იყო მითითებული წინაპირობები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა მიმართულებით გეგმავდა ინსტიტუცია ხელოვნური ინტელექტის ჩართვას სწავლების პროცესში — როგორც ინსტრუმენტი დავალებების შესასრულებლად, თუ როგორც

საშუალება ხელოვნური იტელექტის არასანქცირებული მეთოდებით გამოყენების გამოვლენისა და პრევენციისთვის.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ხელოვნური ინტელექტი ზედმეტად შემოიჭრა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტების მხრიდან. ამიტომ ინსტიტუციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სტუდენტებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი დადებითი გამოყენების გზების შესახებ. ასევე, დაისვა საკითხი ხელოვნური ინტელექტის სწავლების მეთოდიკაში გამოყენებაზე, როგორც მომავალი მასწავლებლის ინსტრუმენტზე.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას პრაქტიკის ნაწილთან დაკავშირებით. მისი თქმით, „პრაქტიკა 7“-ში გათვალისწინებული იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება, ხოლო „პრაქტიკა 8“-ში - კვლევა. მას აინტერესებდა, რამდენ საცდელ გაკვეთილს ატარებდა სტუდენტი და მეორე შემთხვევაში, პრაქტიკის კვლევის თუ ზოგადი კვლევის ჩატარება ხდებოდა. ასევე, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მე-10 სემესტრში იყო სემინარი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას ემსახურებოდა, ხოლო ცალკე სამაგისტრო ნაშრომი შეადგენდა 15 კრედიტს. მას სურდა ამ საკითხის დაზუსტება დაწესებულების მხრიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მომზადებული პრაქტიკის გზამკვლევი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ყველა საჭირო ინფორმაცია. სილაბუსში პრაქტიკის საათებს ემატებოდა მეთოდიკა, რომლის დროსაც ტარდებოდა გაკვეთილები. დაწესებულება სამინისტროსთან ერთად ახორციელებდა ბილინგვური განათლების პროექტს, სადაც ბილინგვური მასწავლებლები დასაქმებულნი იყვნენ როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ისე სკოლებში. შესაბამისად, შემუშავებული იყო არა მხოლოდ სქემა, არამედ მისი განხორციელების გზებიც, და, საბოლოოდ, სტუდენტი ატარებდა მინიმუმ სამ გაკვეთილს.
სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გამოცდილება, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომი ხორციელდებოდა ბოლო წელს და, როგორც წესი, მას ეთმობოდა 30–40 კრედიტი. თუმცა ინსტიტუციამ აირჩია სხვა გზა, რომელიც ეტაპობრივად ავითარებდა სტუდენტის კვლევით უნარებს. სემინარი ემსახურებოდა სამაგისტრო ნაშრომის მაღალ ხარისხზე შესრულებას.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, არსებობდა თუ არა ლაბორატორია დაწესებულებაში და თუ არსებობდა საჭიროებდა იგი თუ არა გაძლიერებას.
ექსპერტმა ნინო მოდებაძემ აღნიშნა, რომ ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორია არსებობდა, თუმცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - არა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეთოდიკები ტარდებოდა სკოლაში, შესაბამისად, იქ არსებობდა საბუნებისმეტყველო ინტეგრირებული ლაბორატორია.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, 300 კრედიტიან პროგრამაში პირველიდან მეექვსე კლასამდე მხოლოდ ქართული ენის მასწავლებელი იყო შეთავაზებული და მას აინტერესებდა, რატომ იყო წარმოდგენილი მხოლოდ ეს კონკრეტული მიმართულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხვა კურსების შეთავაზებაც შესაძლებელი იყო, თუმცა ისინი ხარისხზე იყვნენ ორიენტირებულნი. ინსტიტუცია მიიჩნევდა, რომ ქართული ენა მისი ძლიერი მხარე იყო, ამიტომ აქცენტი კეთდებოდა ქართულზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:52
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 5 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მასწავლებლის მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამა 1) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 5 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 5 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო და "განათლების პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის სწავლების უფლებით)
დეტალური სფეროს კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით

სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 300

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1
სასწავლო მოდულები:

- დაწყებითი საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები)
- დაწყებითი საფეხურის მათემატიკა (I-VI კლასები)
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)
- საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა
- საბაზო-საშუალო საფეხურის მათემატიკა
- საბაზო-საშუალო საფეხურის ისტორია
- საბაზო-საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლება
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენა.

სწავლების ენა: ქართული
სტატუსი: ახალი
კრედიტები: 60

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების პოლიტიკა
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების პოლიტიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი: 0111 განათლების მეცნიერება
სტატუსი: ახალი
კრედიტები: 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ოსკარ პრიეტო-ფლორესი (Òscar Prieto-Flores), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ედვინ სირბილაძემ გააცნო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათმოსაზრებები.

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ 1.1 რეკომენდაციაში საუბარი იყო იმაზე, რომ პროგრამის მიზნებში უნდა გამოკვეთულიყო საგნობრივი ნაწილი. დაწესებულება ამ რეკომენდაციას არ დაეთანხმა, რადგან პროგრამის სახელწოდებაში ცალსახად ჩანდა, რომ პროგრამა იყო ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I–VI კლასების მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ ის მოიცავდა დაწყებითი საფეხურის ოთხივე მიმართულებას. რომელიმე საგნობრივ ჯგუფზე რომ ყოფილიყო აქცენტირება, მაშინ შესაბამისი მითითებაც გაკეთდებოდა. 1.3 რეკომენდაციაში რეკომენდირებული იყო, რომ განისაზღვროს კონკრეტული კომპონენტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტული სასწავლო შედეგის შეფასებას, რაც გააუმჯობესებდა შეფასების ეფექტიანობასა და შედეგების ხარისხს. ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შექმნილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ელექტრონული პლატფორმა, სადაც ინტეგრირებული იქნებოდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. ლექტორს უნდა მოეხდინა დაკვირვება იმ კონკრეტულ საგნებზე, რომლებზეც უშუალოდ იყო პასუხისმგებელი და შეეფასებინა ისინი. შესაბამისად, სილაბუსში იყო შეყვანილი ყველა ის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც სილაბუსის ავტორის მიერ იყო შეთავაზებული. 1.4 კომპონენტში რეკომენდირებული იყო, რომ გადახედილიყო საგნების და მეთოდოლოგიის მოდულების (ქართული ენა და ლიტერატურა, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და მათემატიკა) კურსების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საფეხურსა და საგნებთან. ასევე, შეფასებულიყო მათი შესაბამისობა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების საგნობრივ ნაწილთან და საჭიროების შემთხვევაში გაზრდილიყო კურსების შინაარსი და ECTS-ების რაოდენობა. დაწესებულება ამ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდა, რადგან აღნიშნული პროგრამა დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა და დროთა განმავლობაში განიცდიდა განვითარებას. დაკვირვებების, გამოკითხვებისა და მიღწეული შედეგების საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში დარგობრივ მოთხოვნებთან, მოხდა მისი სტრუქტურის გადახალისება და კრედიტების გარკვეული ცვლილება. პირველი 5-კრედიტიანი საგანი ფარავდა I და II კლასის მასალას, მეორე სემესტრში — III–IV კლასის, ხოლო მეხუთე სემესტრში — V–VI კლასის მასალას. მეოთხე სემესტრში ხდებოდა ამ ყველაფრის თავმოყრა და სასკოლო პრაქტიკაში რეალიზება. 1.5 კომპოენენტში რეკომენდებული იყო, რომ იმ სილაბუსებში, სადაც ეს ინფორმაცია არ იყო მითითებული, დამატებულიყო სასწავლო მასალის შესაბამისი თავები და გვერდები. შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, არსად იყო ვალდებულებად გაწერილი, რომ სილაბუსებში ლიტერატურა გვერდებით უნდა ყოფილიყო მითითებული. შესაბამისად, ლექტორები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ეს საჭირო იყო, თავად უთითებდნენ გვერდებს. გარდა ამისა, საუბარი იყო მაგისტრატურასთან გათანაბრებულ პროგრამებზე — მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე და განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც გვერდების არ მითითება არ უნდა ყოფილიყო აღქმული ხარვეზად. ასევე რეკომენდებული იყო, რომ პედაგოგიკის მოდულის კურსებში აისახოს სწავლის შედეგი, რომელიც ხელს შეუწყობდა ძირითადი ცნებების — აღზრდა, განათლება და სწავლება — კრიტიკულ გააზრებას. ეს მნიშვნელოვანი იყო სასწავლო პროცესის არსისა და პრინციპების სწორად გასაგებად. ამასთან, სილაბუსებში უნდა ყოფილიყო მითითებული სავალდებულო აკადემიური ლიტერატურა ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლებიდან და დიდაქტიკიდან. დაწესებულებისთვის ამ რეკომენდაციის მეორე ნაწილი გაურკვეველი იყო.

3.1 კომპონენტში რეკომენდირებული იყო, რომ სამივე პროგრამაში ყველა მითითება Grenoble Business School-ზე შეცვლილიყო და ჩანაცვლებულიყო — კავკასიის უნივერსიტეტის განათლების სკოლით. ვიზიტის დროს ექსპერტთა გუნდმა აღმოაჩინა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მესამე სტანდარტში, სადაც სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობები იყო აღწერილი, ინგლისურ ნაწილში დარჩენილი იყო ფრაზა — *Grenoble Business School*, ხოლო თვითშეფასების ქართულ ვერსიაში მსგავსი არაფერი იყო. სწორი ვარიანტი მიწოდებული იყო ადგილზე, თუმცა ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს. დოქტორის ხარისხის მქონე პირებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ პროგრამას ემსახურებოდა დარგის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელთა ინოვაციური მეთოდებით მიმდინარეობდა სწავლება სკოლებში. 300 კრედიტიან პროგრამაზე 24 აკადემიური პერსონალიდან 8-ს ჰქონდა დოქტორის ხარისხი. ასევე, 2 მოწვეულ პერსონალსაც ჰქონდა დოქტორის ხარისხი. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე 15 მოწვეულიდან 5-ს ჰქონდა დოქტორის ხარისხი. განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე 9 აკადემიური პერსონალიდან 4-ს ჰქონდა დოქტორის ხარისხი, ხოლო მოწვეულებიდან — 1-ს. ეს რაოდენობა არ იყო საბოლოო და სტრატეგიული მიზანი იყო, რომ აფილირებული პერსონალის რაოდენობა წლიდან წლამდე გაზრდილიყო.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ალუდა გოგლიჩიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მთლიანად ჰქონდა გადახალისებული პროგრამა და არსებობდა ისეთი საგნები, რომლებიც აუცილებელი იყო მასწავლებლისთვის. მაგალითად, წიგნიერებას ჰქონდა 10 კრედიტი — 5 ერთ სემესტრში და 5 — მეორეში. მეორე საგანი, რომელიც საპილოტო პროექტის ფარგლებში დაიწყო, იყო სოციალური და ემოციური უნარების სწავლება. ამის შემდეგ სტუდენტი ხდებოდა დამოუკიდებელი, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად სწავლა, წაკითხულის გააზრება და ა.შ. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გარდაქმნის უნარი ადრე ხორციელდებოდა 5 სემესტრში, ხოლო ახლა პრაქტიკა გაწერილი იყო ყველა 8 სემესტრში. ასევე, ხელოვნური ინტელექტი, როგორც საკვანძო კომპეტენცია, ისწავლებოდა პირველი კურსიდან. ღირებულებითი განათლების მიწოდება ხორციელდებოდა ერასმუსის პროგრამის ფარგლებში და აღნიშნული უნივერსიტეტი იყო პირველი საქართველოში, რომელმაც ამ თემას 5 კრედიტი დაუთმო. მედიაწიგნიერება ხორციელდებოდა ჟამონას პროექტის ფარგლებში. შეცვლილი იყო კვლევების დიზაინიც — იწყებოდა შესავალი კურსით, შემდეგ იყო თვისობრივ-რაოდენობრივი არჩევითი. თუ სტუდენტი არჩევდა ამ მიმართულებას, მეცხრე სემესტრში ჰქონდა შესაძლებლობა, მეორე სემესტრში გაეგრძელებინა სწავლა ამ მიმართულებით.
ექსპერტმა მარინე გოგნელაშვილმა აღნიშნა, რომ ის ინოვაციები, რომლებიც დაიგეგმა, საკმაოდ საინტერესო იქნებოდა ქართული სივრცისთვის, თუმცა ჩნდებოდა ეჭვი, რამდენად შესაძლებელი იყო 0114 კვალიფიკაციის მინიჭება. ამიტომაც დაისვა შეკითხვები პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასება იყო საკმაოდ დადებითი. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იყო, რომ ცალკე უნდა ყოფილიყო საგნობრივი კომპეტენციები და მკაფიოდ ფორმულირებული - პროგრამის სწავლის შედეგები. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა ამ რეკომენდაციაში, რადგან მისი შეფასებით, ყველაფერი საკმარისად მკაფიოდ იყო გაწერილი.
ექსპერტმა მარინე გოგნელაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნებსა და შედეგებში საგნობრივი კომპეტენციები და საგნობრივი მიმართულებით ცოდნა-ჩვევები აუცილებელი იყო მასწავლებლისთვის. ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია, რომ ეს კომპონენტები გამოჩენილიყო როგორც მიზნებში, ისე სწავლის შედეგებში.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, დაწესებულებას კითხვით მიმართა. მას აინტერესებდა, რამდენად მიღწევადი იყო, რომ ერთ ადამიანს შესძლებოდა ოთხივე მიმართულების სწავლება I–VI კლასის დაწყებითი საფეხურის პროგრამაში. ასევე, მას აინტერესებდა, იყო თუ არა სასკოლო პრაქტიკა ჩაშენებული როგორც საგნებში, ისე პედაგოგიკაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გენო გუგულაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში ზუსტად იყო გაწერილი ის შედეგები, რომელთა მიღწევაც სტუდენტს უნდა შეძლებოდა. დაწესებულების მიზანი იყო არა მხოლოდ საგნის სწავლება, არამედ ამ საგნის სწავლების მეთოდიკის გადაცემა. თუ სტუდენტს მკაცრად მოეთხოვებოდა ეს, მას ასევე გააჩნდა შესაბამისი უნარები ამ მოთხოვნის დასაძლევად. ალუდა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო 100%-ით დაძლევადი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნიკოლოზ სილაგაძემ განაცხადა, რომ ოთხივე საგნის თანაბრად შესწავლა რეალიზებადი იყო და შედეგების მიღწევაც შესაძლებელი იყო.
მაია ზიბზიბაძემ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხებოდა საგნობრივი კომპეტენციების ასახვას მიზნებსა და შედეგებში, აღნიშნა, რომ დამატებითი ფორმულირებების გაჩენა საჭირო არ იყო. მისი თქმით, მთავარი იყო 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კურიკულუმის საკითხების სრულად გათვალისწინებას. ბუნებისმეტყველების მაგალითზე მან აღნიშნა, რომ წინა სემესტრში მეტი კრედიტი იყო საგნობრივ შინაარსზე. თუმცა საგნობრივ კომპონენტზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, გაცილებით მეტი სარგებელი მოუტანა ინტეგრირებულმა სწავლებამ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 05 აგვისტომდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის პირველი პუნქტის, 275 -ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 276 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 05 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „განათლების პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „განათლების პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 აგვისტომდე.

ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 05 აგვისტოს 18:26 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე